



№ 1გ/960-17



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით
საჩივრის უარყოფის შესახებ

19 ივლისი 2017 წელი
თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე
გიორგი მიროტაძემ

ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ რევაზ სვანაძის საჩივარი, საგამოძიებო მოქმედების (ამოღების) ჩასატარებლად ნებართვის გაცემის თაობაზე უარის თქმის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე დავით კურტანიძის 2017 წლის 13 ივლისის #11ა/6602 განჩინებაზე და

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

საქართველოს შსს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის პირველ განყოფილების წარმომავალი სისხლის სამართლის N004070717007 საქმე დანაშაულისათვის გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით და 126-ე მუხლის პირველი ნაწილით.

საქმის მასალების მიხედვით გამოძიება მიმდინარეობს რ. ხ.-ს ცემისა და მისი კუთვნილი ავტომანქანის დაზიანების ფაქტზე.

აღნიშნულ საქმეზე, 2017 წლის 13 ივლისს თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა რევაზ სვანაძემ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა 01:30 საათიდან 01:55 საათამდე დროის მონაკვეთში ა. რ.-ს კუთვნილი მობილური ტელეფონის ამოღების კანონიერად ცნობა. შუამდგომლობაში აღნიშნულია, რომ 2017 წლის 13 ივლისს, 00:05 საათიდან 00:45 საათამდე დროის მონაკვეთში ჩატარებული ა. რ.-ს კუთვნილი „აიფონი“-ს ფირმის მობილური ტელეფონის დათვალიერება, საიდანაც ნანახი იქნა საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ვინაიდან აღნიშნული მობილური ტელეფონი წარმოადგენდა საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველ საგანს, მობილური ტელეფონის დათვალიერების დასრულების შემდეგ, რათა ხელი არ შეშლოდა გამოძიების მიმდინარეობას და არ დაკარგულიყო საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, შემდგომი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების მიზნით გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გამოძიების მიერ 01:30 საათიდან 01:55 საათამდე დროის მონაკვეთში შესაბამისი დადგენილების საფუძველზე სასამართლოს განჩინების გარეშე ამოღებული იქნა ა. რ.-ს კუთვნილი ზემოხსენებული მობილური ტელეფონი (იხ.: შუამდგომლობა).



თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე დავით კურტანიძის 2017 წლის 13 ივლისის #11ა/6602 განჩინებით პროკურორის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

განჩინებაში პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში რეალურად გამოძიებისათვის შინაარსობრივად მნიშვნელოვანი იყო მობილურ ტელეფონში არსებული ინფორმაცია (რასაც მიუთითებს თვითონ პროკურორიც შუამდგომლობაში) და არა თავად ტელეფონი, როგორც ნივთი, ანუ საქმე უკავშირდება კომპიუტერულ მონაცემს, რომელიც დაცული იყო კომპიუტერულ სისტემაში - მობილურ ტელეფონში. ამასთან, კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვა უნდა მოხდეს საქ-ოს სსსკ-ის 136-ე მუხლის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება - ამოღება ცნო უკანონოდ, ხოლო მიღებული ინფორმაცია, ამოღებული ნივთი დაუშვებელ მტკიცებულებად.

აღნიშნული განჩინება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივრა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა რევაზ სვანაძემ, რომელიც ითხოვს „თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის #11ა/6602 განჩინების გაუქმებას“.

საჩივარში ბრალდების მხარე უთითებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 02 ივნისის #1გ/757 განჩინებაზე და განმარტავს, რომ აღნიშნულის შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვა არის ამოღების ერთ-ერთი კერძო შემთხვევა, მისი სპეციალური სახე. ამოღებისა და ჩხრევის, ასევე საკუთრების მფლობელობისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შემზღუდავი სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლი მხარეებისათვის ადგენს მკაცრად გაწერილ პროცედურას. ანალოგიური საპროცესო რეგულირების ქვეშ უნდა მოექცეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციისა და დოკუმენტის გამოთხოვაც. ინფორმაციის გამოთხოვისას პროკურორმა აღარ უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის მე-4 ნაწილის დათქმით დაფარული საგამოძიებო მოქმედებების დებულებებით და გამოთხოვის პროცედურა უნდა შეესაბამებოდეს ჩვეულებრივი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების წესს, რაც რეგლამენტირებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლით და არა ფარული საგამოძიებო მოქმედებისათვის დაწესებულ სტანდარტს. საჩივარში ასევე მითითებულია, რომ „მაშინ როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლო მიუთითებს გამომძიებლის მოქმედების უკანონობაზე და პროკურორის შუამდგომლობის დასაბუთებულობაზე მინიმუმ გაცნობილი უნდა იყოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 02 ივნისის #1გ/757 განჩინებას და არ უნდა იღებდეს შაბლონად ქცეულ გადაწყვეტილებას, რის სიცხადესაც ადასტურებს განჩინებაში აღწერილობით ნაწილში სისხლის სამართლის საქმის ნომრად #004070717007 საქმის ნაცვლად „#0090105017001“ მითითება, ცხადია, რომ აღნიშნული არ წარმოადგენს მხოლოდ ტექნიკურ შეცდომას და ააშკარავებს სასამართლოს მიერ გამოყენებულ ე.წ. „COPY PASTE“ პრინციპს“ (იხ.: საჩივარი).

სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი მასალები იძლევა საჩივარში მითითებული გარემოებების ზეპირი მოსმენის გარეშე სრულყოფილად შეფასების შესაძლებლობას და არ არსებობს საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის აუცილებლობა.

შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ განიხილა წარმოდგენილი საჩივარი და მიიჩნია, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლი განსაზღვრავს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ზოგად წესს. ამასთან, ამავე კოდექსის 112-ე მუხლი ადგენს სასამართლოს განჩინებით



ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების, ასევე გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში სასამართლოს განჩინების გარეშე საგამოძიებო მოქმედების ჩატარების წესებს. ხოლო, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-120-ე მუხლები, კონკრეტულად მიუთითებს, ამოღებისა და ჩხრეკის მიზანსა და საფუძველზე და ამოღებისა და ჩხრეკის წესზე, ისევე, როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლი, რომლითაც დადგენილია დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვის სპეციალური წესები.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში ამოღება ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოჩენილ და ამოღებულ იქნეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი. ამასთან, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი შეიძლება ამოღებულ იქნეს, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ის ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მისი ძებნა საჭირო არ არის. ხოლო, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამოღების ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინების, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში – გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე გამომძიებელს უფლება აქვს, საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის აღმოსაჩენად და ამოსაღებად შევიდეს საცავში, სადგომში, სათავსში ან სხვა მფლობელობაში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი, პროკურორი უფლებამოსილია გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს მიმართოს შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის მოთხოვნით.

თავად კომპიუტერული სისტემისა და კომპიუტერულ მონაცემთა შესანახი საშუალების დეფინიციის შესახებ განმარტებას იძლევა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 27-ე ნაწილი, რომელიც ადგენს, რომ კომპიუტერული სისტემა არის ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფი, რომელიც პროგრამის მეშვეობით, ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს (მათ შორის, პერსონალური კომპიუტერი, ნებისმიერი მოწყობილობა მიკროპროცესორით, აგრეთვე მობილური ტელეფონი), ხოლო ამავე მუხლის 28-ე ნაწილი განსაზღვრავს, რომ კომპიუტერული მონაცემი არის კომპიუტერულ სისტემაში დამუშავებისათვის ხელსაყრელი ნებისმიერი ფორმით გამოსახული ინფორმაცია, მათ შორის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებას.

ამდენად, საგამოძიებო მოქმედების - ამოღების სპეციალური წესი რეგულირდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-120-ე მუხლებით, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლი არის ასევე სპეციალური (საგამონაკლისო) ნორმა, რომელიც არეგულირებს კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ან დოკუმენტის მოპოვების წესს, რისთვისაც საგამოძიებო მოქმედების „ამოღების“ ნაცვლად ადგენს საგამოძიებო მოქმედება „გამოთხოვის“ ფორმას. შესაბამისად, როდესაც შემთხვევა რეგულირდება სპეციალური ნორმით, საკითხის გადაწყვეტისას გამოიყენება სწორედ ეს კონკრეტული წესი, ვინაიდან „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტიდან გამომდინარე კოდექსი არის განსაზღვრული (ერთგვაროვანი) საზოგადოებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმათა სისტემატიზებული ნორმატიული აქტი, ხოლო ამავე კანონის მე-5



მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი სპეციალური (საგამონაკლისო) ნორმები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიით.

ზემოხსენებული ნორმების დანაწესიდან გამომდინარე უდავოა, რომ მოცემულ შემთხვევაში ბრალდების მხარის მიერ მოთხოვნილია კომპიუტერულ სისტემაში დაცული ინფორმაციის, მობილურ ტელეფონში არსებული ინფორმაციის ამოღება. კერძოდ, გამოძიების ინტერესშია ა. რ.-ს კუთვნილ „აიფონი“-ს ფირმის მობილურ ტელეფონში ნანახი საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოღება და არა კონკრეტულად მხოლოდ მობილური ტელეფონის, როგორც ნივთის ამოღება, რამეთუ მობილური ტელეფონი ცალკე აღებული მასში არსებული ინფორმაციის გარეშე საქმისათვის მნიშვნელოვანი არ არის. ამ შემთხვევაში ხსენებული მობილური ტელეფონი წარმოადგენს სწორედ კომპიუტერულ სისტემას, რომელშიც შენახულია ინფორმაცია. მობილური ტელეფონი, ცალკე ნივთის სახით ამოღების ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ თუ იგი დანაშაულის იარაღი ან საგანია ან თავად ტელეფონი არის მტკიცებულების მატარებელი, ხოლო როდესაც მობილური ტელეფონის ამოღების მოთხოვნა მიმართულია რეალურად მასში არსებული ინფორმაციის შემდგომი გამოყენებისათვის, ასეთ ვითარებაში დაცული უნდა იქნეს სასამართლოსთვის მიმართვის კანონით დადგენილი ფორმა და წესი. ხსენებული ინფორმაციის მოპოვების სპეციალური წესი კი იმპერატიულად არის დადგენილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით.

შესაბამისად, მითითებული ინფორმაციის მოპოვება უნდა მოხდეს სწორედ კანონით დადგენილი ფორმით, მხარის მიერ გამოთხოვის (სსსკ-ის 136-ე მუხლით) და არა ამოღების (სსსკ-ის 112-ე, 119-120-ე მუხლებით) ნორმებით გათვალისწინებული წესით, რასაც განსხვავებული სამართლებრივი შედეგები შეიძლება მოჰყვეს და რომლებზედაც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს სასამართლო კონტროლის განხორციელების სპეციალურ წესებს, რომლის გათვალისწინებითაც მტკიცებულებათა მოპოვების წესი სხვადასხვა სამართლებრივი პროცედურებით განისაზღვრება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით ცალსახად არის დადგენილი კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების წესი და მასში ზუსტადაა ასახული კანონმდებლის ნება, რაც არ აძლევს მხარეს უფლებას გადაუხვიოს დადგენილი წესიდან და ისეთი საგამოძიებო მოქმედება, ამ შემთხვევაში გამოთხოვა, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით (ამ შემთხვევაში მითითებული მუხლის მე-4 ნაწილიდან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143^ა-143^ბ-ე მუხლების დებულებათა გათვალისწინებით) თავისი ინტერესების და პოზიციის გასასამართლებლად, შეცვალოს და ჩაატაროს სხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისათვის დადგენილი წესით.

ამდენად, ზემოხსენებული ნორმებიდან გამომდინარე, ბრალდების მხარე დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში უფლებამოსილია მოითხოვოს კომპიუტერულ სისტემას ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული, სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის შესახებ განჩინების გაცემა და არა ამოღებაზე ნებართვა ან/და გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით ჩატარებული ამოღების კანონიერების შემოწმება (კანონიერად ცნობა). ამ შემთხვევაში განხილვის საგანს არ წარმოადგენს თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს შუამდგომლობას ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულთა საქმეებზე.

რაც შეეხება ბრალდების მხარის მითითებას თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 02 ივნისის #1გ/757 განჩინებაზე და პოზიციას, რომ სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვა არის ამოღების ერთ-ერთი კერძო შემთხვევა, მისი სპეციალური სახე, ხოლო ინფორმაციის გამოთხოვისას პროკურორმა არ უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის მე-4 ნაწილის დათქმით და ფარული საგამოძიებო მოქმედებების დებულებებით და გამოთხოვის პროცედურა უნდა შეესაბამებოდეს ჩვეულებრივი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების წესს, რაც რეგლამენტირებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლით, აღნიშნულს, საჩივრის განმხილველი თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია არ ეთანხმება და განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად,



მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. შესაბამისად, საკითხის განხილვისას მოსამართლე გადაწყვეტილებას იღებს კანონის საფუძველზე, რა დროსაც თავისი შინაგანი რწმენით განმარტავს ამა თუ იმ ნორმას, ხოლო მსგავს საკითხებზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილებები კი ასეთ ვითარებაში ხელს უწყობს ნორმის სწორ განმარტებას და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

კონკრეტულ შემთხვევაში, საგამოძიებო კოლეგია განსაკუთრებით მიაქცევს ყურადღებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის №1/1/650,699 გადაწყვეტილებას, რომლითაც ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილების მხოლოდ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამოირიცხავს დაცვის მხარის მიერ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის შესახებ განჩინების გაცემის შუამდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვას, რითაც ბრალდების მხარის მსგავსად დაცვის მხარესაც მიეცა უფლება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე და დადგენილი წესით განჩინების გაცემის შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს.

ზემოხსენებული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ ბრალდების მხარე დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში უფლებამოსილია მოითხოვოს კომპიუტერულ სისტემას ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული, სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის შესახებ განჩინების გაცემა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის საფუძველზე, ფარული საგამოძიებო მოქმედებებისათვის დადგენილი წესით და არა იმ საფუძველით, რომ საგამოძიებო მოქმედება „გამოთხოვა“ არის საგამოძიებო მოქმედების „ამოღების“ ერთ-ერთი კერძო შემთხვევა და მისი სპეციალური სახე და მასზე არ ვრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143²-143¹⁰-ე მუხლების დებულებები. ამ მოსაზრებას კონკრეტული საჩივრის განმხილველი საგამოძიებო კოლეგია არ იზიარებს, ვინაიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის №1/1/650,699 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილების მხოლოდ ზემოხსენებული ნორმატიული შინაარსი, ანუ ნორმის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახული შინაარსობრივი მხარე და არა მთლიანად ნორმა, რითაც შეზღუდვა მოიხსნა დაცვის მხარისათვის და მასაც მიეცა შესაძლებლობა ინფორმაცია მოიპოვოს პროკურორისათვის დადგენილი სტანდარტით და იმავე წესით, როგორც მას მოიპოვებდა ბრალდების მხარე. შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის მიხედვით ინფორმაციის გამოთხოვაზე ვრცელდება ფარული საგამოძიებო მოქმედების გაცემისათვის დადგენილი წესი მხოლოდ შუამდგომლობის დასაბუთებისა და წარდგენის სტანდარტის ნაწილში ორივე მხარისათვის თანაბრად, ხოლო სხვა ნორმატიული შინაარსი რაც დამახასიათებელია სპეციფიკურად ფარული საგამოძიებო მოქმედებებისათვის ეხება მხოლოდ ბრალდების მხარეს, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143²-143¹⁰-ე მუხლების შესაბამისად, სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვის სუბიექტს წარმოადგენს პროკურორი და ამასთან, კომპიუტერულ სისტემაში დაცული ინფორმაციის გამოთხოვა განსხვავდება ფარული საგამოძიებო მოქმედებებისაგან, რომელთა დაკავშირებითაც დაცვის მხარეს არანაირი უფლებამოსილება არ გააჩნია.

ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, დაცვის მხარეს ბრალდების მხარისათვის დადგენილი სტანდარტით მიეცა შესაძლებლობა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვით მოიპოვოს ინფორმაცია/მტკიცებულება მასთან დაკავშირებული ნებართვებით და ორივე მხარისათვის არსებული საკანონმდებლო შეზღუდვებით, რა შემთხვევაშიც ნორმა არცერთ მხარეს არ აყენებს უპირატეს მდგომარეობაში.

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაში იმსჯელა ნორმის არაკონსტიტუციურობაზე კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში მხოლოდ დაცვის მხარის პოზიციიდან



გამომდინარე და არა ნორმის ან მისი ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურობაზე პროკურორთან მიმართებაში. ასეთ ვითარებაში კი სასამართლო არ არის უფლებამოსილი მიაკუთვნოს მხარეს იმაზე მეტი უფლება, რაც არ არის გათვალისწინებული კანონით ან/და რომლის არაკონსტიტუციურობაზეც საკონსტიტუციო სასამართლოს არ უმსჯელია და გადაწყვეტილება არ მიუღია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ ყველა შემთხვევაში უნდა იქნეს დაცული სასამართლოსთვის მიმართვის კანონით დადგენილი ფორმა და წესი. ხოლო, განსახილველ საკითხთან მიმართებაში კი შუამდგომლობასა და საჩივარში მითითებული ინფორმაციის მოპოვების ფორმა და სპეციალური წესი დადგენილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით, რომელიც მოქმედი ნორმაა, არაკონსტიტუციურად არ არის ცნობილი და რომლის დაცვითაც ბრალდების მხარეს სასამართლოსთვის არ მიუმართავს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საგამოძიებო კოლეგია საჩივარში მითითებულ გარემოებაზე, რომ „მაშინ როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლო მიუთითებს გამომძიებლის მოქმედების უკანონობაზე და პროკურორის შუამდგომლობის დასაბუთებულობაზე მინიმუმ გაცნობილი უნდა იყოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის #1გ/757 განჩინებას და არ უნდა იღებდეს შაბლონად ქცეულ გადაწყვეტილებას“, ყურადღებას მიაქცევს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ სხვადასხვა დროს მიღებულ განჩინებებზე, კერძოდ - თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2017 წლის 20 ივნისის #1გ/849 (მოსამართლე გ. მიროტაძე), 2017 წლის 20 ივნისის #1გ/857 (მოსამართლე გ. მიროტაძე), 2017 წლის 21 ივნისის #1გ/853 (მოსამართლე გ. გოგინაშვილი), 2017 წლის 21 ივნისის #1გ/856 (მოსამართლე გ. გოგინაშვილი), 2017 წლის 21 ივნისის #1გ/859 (მოსამართლე გ. მიროტაძე), 2017 წლის 22 ივნისის #1გ/854 (მოსამართლე გ. მიროტაძე), 2017 წლის 22 ივნისის #1გ/864 (მოსამართლე ს. პავლიაშვილი) და 2017 წლის 22 ივნისის #1გ/866 (მოსამართლე ს. პავლიაშვილი) განჩინებებზე, რომლებიც ისევე არეგულირებენ სადავო საკითხს, როგორც გადაწყვეტილებაც მიიღო კონკრეტულ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე დავით ურტანიძემ 2017 წლის 13 ივლისის განჩინებით, რაც წარმოადგენს გასაჩივრების საგანს. შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული და სხვა მსგავსი განჩინებებით დადგენილია ერთგვაროვანი პრაქტიკა, სადავო ნორმა საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლეთა მიერ განმარტებულია ერთგვაროვნად და ასეთ ვითარებაში ბრალდების მხარის მიერ 2017 წლის 02 ივნისის #1გ/757 განჩინებაზე მითითება, რომელიც გამოტანილია მაშინ, როდესაც საკითხის გადაწყვეტისათვის არაერთგვაროვანი მიდგომა არსებობდა, არარელევანტურია. საგამოძიებო კოლეგია მიიჩნევს, რომ ბრალდების მხარის კომპეტენტურობიდან გამომდინარე ზემოხსენებული განჩინებები ცნობილია საჩივრის ავტორისთვის, თუმცა წარმოადგენს საჩივარში მოსამართლის მიმართ გამოხატული არასათანადო დამოკიდებულება, რომ მოსამართლე სანამ საკითხს გადაწყვეტს „მინიმუმ გაცნობილი უნდა იყოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 02 ივნისის #1გ/757 განჩინებას“ არ მიესადაგება საჩივრის კრიტერიუმებისათვის მიღებულ სტანდარტს და არ არის საკმარისი სამართლებრივი არგუმენტი საჩივრის დასასაბუთებლად.

აქვე, საგამოძიებო კოლეგია, პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების პირველ გვერდზე სისხლის სამართლის საქმის ნომრის (#004070717007-ის ნაცვლად #0090105017001-ის) არასწორად მითითებასთან დაკავშირებით, აღნიშნავს, რომ საქმის მასალების ერთობლიობის შეფასებიდან გამომდინარე უდავოა, რომ იგი წარმოადგენს ტექნიკური ხასიათის უზუსტობას, რომელიც ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს მიღებული გადაწყვეტილების შედეგზე, ისევე, როგორც საჩივარში მითითებული, ბრალდების მხარის „არასრული“ მოთხოვნა. კერძოდ, საჩივრის მოთხოვნას წარმოადგენს, რომ გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის #11ა/6602 განჩინება, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული თუ რას ითხოვს საჩივრის ავტორი საჩივრის მოთხოვნის (გასაჩივრებული განჩინების გაუქმების) დაკმაყოფილების შემთხვევაში, მით უფრო, როდესაც საჩივარს საგამოძიებო კოლეგია განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე და არ არის მითითებული ბრალდების მხარე გასაჩივრებული განჩინების გაუქმების შემთხვევაში ითხოვს შუამდგომლობაში დაყენებული მოთხოვნის განხილვას - ამოღების კანონიერების შემოწმებას და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას, თუ შუამდგომლობის უკან გათხოვას ან თავდაპირველ მოთხოვნას სრული მოცულობით უკერძო მხარს, თუ ნაწილობრივ და ასეთის შემთხვევაში რა ნაწილში. თუმცა, ზემოხსენებული



გავლენას ვერ ახდენს ამ შემთხვევაში საჩივრის განხილვაზე, ვინაიდან საგამომიებო კოლეგიის შეფასებით თავად მოთხოვნა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების თაობაზე არის უსაფუძვლო.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე, ბრალდების მხარის საჩივარი/შუამდგომლობა არ აკმაყოფილებს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, მოთხოვნილი საგამომიებო მოქმედების ჩასატარებლად განჩინების გაცემის საპროცესო კრიტერიუმებს და აღნიშნულზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის არსებითად სწორი და მართლზომიერი.

ამასთან, წარმოდგენილი მასალების მიხედვით, მოსამართლის მიერ შუამდგომლობა განხილულია და განჩინება მიღებულია დადგენილი ვადებისა და პროცედურების დაცვით და არც ამ კუთხით რაიმე სახის საპროცესო დარღვევას, ადგილი არ აქვს.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

ვიხელმძღვანელებუ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 98-ე, 136-ე, 207-ე მუხლებით და

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :

1. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ რევაზ სვანაძის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე დავით კურტანიძის 2017 წლის 13 ივლისის #11ა/6602 განჩინება - 2017 წლის 13 ივლისის 01:30 საათიდან 01:55 საათამდე პერიოდში, ა. რ.-ს კუთვნილი მობილური ტელეფონის (სიმბარათთან ერთად) ამოღების უკანონოდ ცნობისა და მიღებული ინფორმაციის (მტკიცებულების) - ამოღების შედეგად ამოღებული ნივთის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის თაობაზე, დარჩეს უცვლელი;
3. განჩინების ასლები შესასრულებლად და ცნობისათვის, გაეგზავნოთ და გადაეცეთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შესაბამის პირებსა და ორგანოებს;
4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოსამართლე
გიორგი მიროტაძე